შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს „სუფთა წყალს“ შორის 2019 წლის 02 აპრილს
გაფორმებულ N242-ე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1

ქ. თბილისი 07 ივნისი 2019 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის თია მელაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „სუფთა წყალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205150655) შემდგომში ,,მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი კალმახელიძის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2019 წლის 02 აპრილს გაფორმებულ N242-ე ხელშეკრულების მე-11 მუხლის საფუძველზე (განცხადების ნომერი CON190000179 – დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი) და შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის 2019 წლის 31 მაისის N1400016 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას:

აღწერილობითი ნაწილი:

შსს ეკონომიკურ დეპარტამენტში 2019 წლის 31 მაისს შემოვიდა შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის N1400016 სამსახურებრივი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია, რომ კონსოლიდირებული ტენდერის (**CON190000179**) ფარგლებში შპს „სუფთა წყალსა“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2019 წლის 02 აპრილს გაფორმდა N242 ხელშეკრულება, სადაც კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციისა და გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მოსაწოდებელი პროდუქციის საქონლის მიწოდების ვადად განსაზღვრულია - ხელშეკრულების გაფორმებიდან კვირაში ერთხელ 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული სამსახურებრივი ბარათიდან ირკვევა, რომ საჭიროა N242 ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება კერძოდ, მოსაწოდებელი პროდუქციის საქონლის მიწოდება ნაცვლად კვირაში ერთხელ შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდეს - ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად - მოთხოვნიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ცვლილება არ იწვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ტექნიკური პირობების გაუარესებას და აგრეთვე არ ზრდის პროდუქციის ერთეულის ფასს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმწოდებელთან შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 და 5^1 პუნქტების თანახმად და ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად ხელშეკრულებაში სათანადო ცვლილებების განხორციელების თაობაზე.

დადგენილებით ნაწილი:

1) ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტი - საქონლის მიწოდების ვადა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4.2. საქონლის მიწოდება განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად - მოთხოვნიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში“.
2) ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად არ უარესდება სატენდერო პირობები და არ იცვლება სახელშეკრულებო ფასი.
3) ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები/მუხლები დარჩეს უცვლელი.
4) წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებით მიღებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან თანხმობა.
5) წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან.
6) წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2019 წლის 02 აპრილს დადებულ N242–ე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები